№ 97 კვირა, 3 მაისი 1909 წ.

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ ხაზაზე 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სუფთა ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ ... მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება ... ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილის გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვაჩნ ქ. № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ღრმად დამწუხრებულნი მართა კაციას ასული აბდუშელიშვილისა, თამარ ლუარსაბის ასული აბაშიძისა, პელაგია, ლიზა, ლევან და ოქროპირ აბდუშელიშვილები, ვასილ ტიმოთეს ძე იაშვილი, ილია ანტონის ძე თავზარაშვილი და ვერა კონსტანტინეს ასული აბდუშელიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—მეუღლის, მეორენი (ხუთნი)—მამის, მესამენი (ორნი)—სიმამრის, ხოლო უკანასკნელი—მამამთილის

ზურაბ ლუარსაბის ძის აბდუშელიშვილისას.

დაკრძალვა მოხდება სოფელ ზჭინევში კვირას, 3 მაისს, ნაშუადღევის ორ საათზე. (1—ფ.—1)

დედა, მეუღლე, ქალი, ძმა და დები 22 აპრილს გარდაცვლილ

ვასილ ალექსანდრეს ძის სულხანიშვილისა

გულწრფელ მადლობას უძღვნიან ყველა იმათ, ვინც პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას როგორც პირადად, ისე წერილობით. (1—242—1)

მარიამ მიხეილის ასული ლოლობერიძისა დითა და ძმებით გულითად მადლობას უძღვნის იმ პირთ, რომელთაც პატივი სცეს მის ძვირფას მეულის

დავით ბესარიონის ძის ლოლობერიძის

ხსოვნას პირადის დასწრებით დაკრძალვაზე თუ თანაგრძნობის გამოთქმით წერილებით ან დეპეშებით. (1—240—1)

სამშაბათს, 5 მაისისთვის, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა-პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა უდროოდ გარდაცვალებულის დაუვიწყარ, ტფილისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის მეექვსე კლასის მოსწავლის

თამარ ნუცუბიძისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და განსვენებულის ამხანაგთ დედა, მამა, ძმები, დები, სიძენი და დისწულნი. (1—243—1)

ვასილ გიორგის ძე გამრეკელი, დაუვიწყარ მეუღლის

მარიამ გრიგოლის ასულის გამრეკელის

გარდაცვალების გამო, გულწრფელ მადლობას უძღვნის ყველას, ვინც დაკრძალვაზე პირადის დასწრებით, დეპეშებით თუ წერილებით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. (2—239—1)

კვირას 3 მაისს მუშტაიდის ბაღში

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

დიდი სახალხო სეირნობა და ლატარია

ლატარიაში ყველა ბილეთი მომგებიანია

ლატარიაში, სხვათა შორის, ჩაგდებულია: ძვირფასი მხატვრული შარავ (შემოწ. კნ. ელის. მუხრან-ბატონისა), სრული სერვიზი ფაიფურისა (შემ. კნ. იულია თუმანიშვილისა), ძროხა, ვერცხლის ნივთები და სხვ.

დილით 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის გაიმართება განსაკუთრებული სეირნობა ბავშვებისათვის

მრავალის სხვა და სხვა გასართობით: კარუსელი.—სირბილი.—ბურთაობა.—ნიშანში სროლა.—ბომზე აცოცება.—გადახტომა.—გაჯიბრება ხაჩუქრებით.—საჩუქარი საუკეთესო ერთგულ ტანისამოსისთვის მუსიკა.

საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის დიდი სეირნობა და ლატარია

დოლი. მკითხაობა. ფოსტა.—კონფეტტი.—ყვავილების ბრძოლა.

ორი ორკესტრი სამხედრო მუსიკისა.—საზანდარი.—მესტვირე.

ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კაპ. ბავშვებისთვის 10 კაპ. ლატარიის ბილეთი 50 კაპ. (0—ფ.—6)

წარმოდგენა № 1. ქართული თეატრი წარმოდგენა № 1

ოთხშაბათს, 6 მაისს, 1909 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა პ. ირეთელისა.

ქრისტინე

დრამა 4 მოქმედ. და 5 სურათად.

მონაწ. მიიღებს მთელი ამხანაგობა ■ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

მზადდება წარმოსადგენა „სად მიხვალ"?. „ღალატი".

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

გაიხსნა ამა წლის 1-ლ მაისს ხელ-ახლა შეკეთებული, მოწყობილი და განათებული რესტორანი და

ბაღი „პალერმო"

სამზარეულო ცნობილ სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ არის; ყოველ დღე უკრავს სიმებიანი სიმფონიური ორკესტრი, სადილის დროს 1-დან 4 საათამდე და საღამოთი 7-დან 1 საათამდე. სადილები და ვახშმები ძალიან იაფად. რესტორანთან არის კაბინეტები.

რესტორანი ღიაა ნაშუალამევის 2 ს. მიხეილის პრ., 147. (3—236—2)

ოთხშაბათს, 6 მაისს,

გოლოვინის პროსპ., ზუბალაშვილების სახლში, სამხატვრო სკოლის სადგომში გაიხსნება მოსკოვის ცნობილ მხატვართა

სურათების გამოფენა

მონაწ. ღებულობენ: ს. ივანოვი, ა. ვასნეცოვი, ლ. პასტერნაკი, კ. იუონი, კ. კოროვინი, ს. ჟუკოვსკი და სხვანი.

გამოფენა გაიხსნება დილის 10 ს. და ღია იქნება საღამოს 6 ს. შესვლის ფასი გამოფენის პირველ დღეს 1 მან. დანარჩენ დღეებში მოზრდილთათვის 25 კ. მოწაფეებისა, ბავშვების და სალდათებისთვის 10 კ. (4—6.—3)

5 მაისს, საღამოს 8 საათზე, ტფ. სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

მორიგი კრება.

კრებაზე წაიკითხავენ: 1. ბ-ნი ს. გორგაძე მოხსენებას „ქართულ წყობილ სიტყვაზე" შემდეგის პროგრამით:

1. ენის კეთილხმოვანება. ლექსი. ლექსთა წყობის სისტემები: მეტრული, ტონური და სილაბური.
2. მახვილი ანუ ხმის ამაღლება ქართულ ენაში.
3. სალექსო „მუხლი". მისი გვარები. ხმის-საქცევი და ცეზურა.
4. რითმა. ხანა და ტიპი. რითმის კომბინაციები.
5. ლექსთა კლასიფიკაცია.
6. ოთხ-მუხლიანი ლექსები: შავთელური, შაირი ჩახრუხაული, შაირი რუსთაველური, აკაკური, ბაიათი, გურამული მაღალი, გურამული დაბალი, მცირე გურამული.
7. სამ-მუხლიანი ლექსები: ბესიკური და თეჯლისი.
8. დასკვნა; ქართული ლექსთა-წყობა ნარევი ტიპისაა—იგი ტონურ-სილაბურია.

2. ბ-ნი რუხაძე—ლექსს.
3. ბ-ნი ევდოშვილი—„მუხის ფიქრებს", ლექსს. (3—1)

საფერშლო და საბებიო სასწავლებელი

მედიც. დ—რის ი. ბ. ლევინსონისა, მოსკოვში

მიასნიკაია ქ., ს. ეიბუშიცის., № 36.

მიიღება თხოვნები $190^9/_{10}$ სამოსწ. წლისათ. პიროხ. უფას. იგზავნება

(Мецль и К°.—130645) (1—6.—1)

ქსნის ამხანაგობას

გამოჰყავს წყალი სააგარაკო ადგილების სარწყავად, ამისთვის იწვევს ყველა მოაგარაკეთ (არა ამხანაგთაც) ამ საერთო საჭირო საქმის გადასაწყვეტად და პირობის შესაკრავად. პირობა ხელსაყრელია ყველასთვის.

კრება დანიშნულია 6 მაისისთვის, დილის 10 საათზე, ბ-ნ ლევანდოვსკის ბინაზე, ვერაზე ანასტასიევსკის ქუჩაზე, სახლი № 14. ვინც არ მოვა, უწყლოდ დარჩება.

(2—238—1) ამხანაგობის მდივანი გიგო თოიძე.

სახალხო სახლი.

კვირას, 3 მაისს, ოპერის ამხანაგობა ბ-ნ ნესტეროვის საბენეფისოდ, ბროდის მონაწილეობით სდგავს ოპერას:

„სევილიელ დალაქს"

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დოლინისა, სტოვინა; ბ-ნნი ბროდი, კუზაკოვი, კოსტინი. ნესტეროვი, ხარიტონოვი, შ. შუგინი და სხვ.

ხორო და ორკესტრი.

სახაზინო თეატრის დირიჟორი პ. ფალიაშვილი, რეჟისორი კუზაკოვი.

დასაწყისი $12^1/_2$ საათზედ.

ბილეთები ღირს 10 კ. და 50 კ. იყიდება თეატრის კასაში 12—2 და 6—8 ს.

ადმინისტრატორი თ. დოლიძე.

ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების

საბჭო

მეორედ იწვევს წევრებს საზოგადო წლიურ ჩვეულებრივ კრებაზე კვირას, 17 მაისს, დილის 11 საათისთვის ჭიათურის თეატრის დარბაზში.

განსახილველი საგნები:

1. მოხსენება საბჭოსი;
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა;
3. 1908 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება და
5. არჩევნები გამგეობის ერთის წევრისა და საბჭოს სამის წევრისა.

ეს კრება მეორედ კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3—6.—1)

იყიდება

სად. მცხეთაში მიწა, ზომით 600 ოთხ-კუთხი საჟენი. კარგა სამოსახლოდ და სამეურნეოდ. პირობების შეტყობა შეიძლება ანასტასიევსკის ქუჩაზე, სახლი № 19, ბინა 2.

გამგეობა

ქუთაისის სათავად-აზნაურო სა-ადგილ-მამულო

ბანკისა,

ამით აუწყებს ყველას, რომ დასახელებულ ბანკის სავადო კუპონების და სატირაჟო გირავნობის ფურცლების განაღდება ხდება სახელმწიფო ბანკში და ყველა მის დაწესებულებაში. (3—6.—2)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—69)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6. 55)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე $2^1/_4$—4 ს.

კალამქაროვი—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგუსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. $10^1/_2$—$11^1/_2$ ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

პივარსკი—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—34)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—52)

## ტფილისი, 3 მაისი

დღეს ბაქოში იხსნება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება. ეს პირველი ადგილობრივი განყოფილებაა, რომელიც იხსნება შარშან საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულ წესის ძალით და არ შეგვიძლიან ასეთი ფაქტი არ მიულოცოთ, როგორც ჩვენს კულტურულ საზოგადოებრივ დაწესებულებას, ისე მთელ ქართველ საზოგადოებას. ბაქოს განყოფილებას მალე მოჰყვება სხვებიც—საქმე უკვე დაწყებულია რამდენსამე დაბა-ქალაქს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოშიაც—და, ამრიგად, ჩვენს სიმპატიურ კულტურულ საზოგადოების ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება.

მთელ 25—30 წლის განმავლობაში, რაც წ.-კ. საზოგადოება არსებობს, მის საქმეებს აწარმოებდა ერთი მუჭა ინტელიგენცია, ტფილისში თავმოყრილი. მის სვე-ბედით უფრო დაინტერესებული იყო ტფილისის ქართველობა. სხვა ადგილების ინტელიგენცია ძვირად გაიხსენებდა ჩვენს „მატიცას" და ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ ნივთიერი დახმარება აღმოეჩინა. პროვინციაში, ფართო საზოგადოებრივ წრეებში, არც კი იცნობდნენ მას, მის დანიშნულებასა და როლს. ეს გარემოება უეჭველად უნდა ჩაითვალოს ერთერთ მთავარ მიზეზად, რომელიც ნაკლებ ნაყოფიერად ქმნიდა საზოგადოების მოღვაწეობას. იმ ვიწრო ფარგალშიაც კი, რომელსაც ძველ რეჟიმის დროს ულობავდნენ საზოგადოებრივ დაწესებულებას, წ.-კ. საზოგადოებას შეეძლო გაცილებით მეტის საქმის გაკეთება, მეტის სარგებლობის მოტანა, ფართო პროვინციალურ წრეებს რომ სცოდნოდათ მისი არსებობისა და მოღვაწეობის მთელი მნიშვნელობა.

არც ერთ კულტურულ საზოგადოებრივ დაწესებულებას არ შეუძლიან ფართო მოღვაწეობის განვითარება, თუ ხალხში არა აქვს ნიადაგი, თუ ადგილობრივი ძალები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ იმის საქმეში, თუ იგი ცენტრალისტურ-ბიუროკრატიულ დაწესებულებად გადაიქცევა, რომელშიაც მხოლოდ ცენტრის ერთი მუჭა საზოგადო მოღვაწენი მუშაობენ. ჩეხთა, პოლონელთა, თვით ჩვენ მეზობელ სომხეთა ამგვარივე საზოგადოებანი წინაალმდეგ ორგანიზაციულ პრინციპზე იყვნენ და არიან დღესაც აგებულნი და ამიტომ უფრო ხეირობენ და მთელის ერის თანაგრძნობითა და ნდობით არიან აღჭურვილნი... მართალია, ჩვენს წ.-კ. საზოგადოებასაც ჰქონდა დაარსებული ადგილობრივი განყოფილებანი, როგორც მაგალითად ბათუმსა და კავკავს, მაგრამ ესენი უფრო სამეურნეო კომიტეტები იყვნენ, ვიდრე განყოფილებანი, და მთელ მათ მოვალეობას შეადგენდა ადგილობრივ სკოლების ნივთიერი დახმარება; ხოლო დანარჩენ ადგილებში ხეირიანი აგენტებიც-კი არა ჰყოლია, რომელთაც პროპაგანდა გაეწიათ საზოგადოებისათვის... ისიც მართალია, რომ ამ 20—25 წლის წინად ბევრგან საქართველოში არც საზოგადოებრივი ელემენტები მოიძებნებოდნენ ისეთი, რომელთაც შესძლებოდათ ასეთ საქმის მოწყობა და წარმოება. მაგრამ ახლა ჩვენი პროვინციაც გაიზარდა, გაღონიერდა კულტურულის ძალებით და, თუ შეკავშირებას მოინდომებს და მოახერხებს კულტურულ მუშაობისათვის, შეუძლიან დიდი სარგებლობა მოიტანოს ამ ასპარეზზე.

ახლად დამტკიცებულის წესით ადგილობრივ განყოფილებებს სრული ავტონომია აქვთ მინიჭებული. საზოგადოების წესდების ფარგალში მათ სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი მუშაობა შეუძლიანთ აწარმოონ. სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნა, კურსების და ლექციების მოწყობა, წიგნების გამოცემა—ერთის სიტყვით ფართო განმანათლებელი მოღვაწეობა ამ წესდების ფარგალშიაც შეიძლება და ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალების მხნეობაზეა დამოკიდებული, როგორ ენერგიას გამოიჩენენ ამ დიდ საქმისათვის. მაგრამ არ შეგვიძლიან აქვე არ მივუთითოთ ჩვენს ახალგაზდა დაწესებულებებს ერთ გარემოებაზე, რომლის დავიწყება ჩვენს დროში არ შეიძლება. ამ ჟამად გამეფებული რეაქცია დიდის ეჭვით შესცქერის კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათ, ნამეტნავად განაპირა ქვეყნებში, არა-რუსთა შორის. რუსულს რეაქციონურს პრესაში არა ერთხელ მიუთითებიათ ჩვენს საზოგადოებაზედაც „კონსულების" საყურადღებოდ და სამწუხაროდ, ასეთი მითითება უშედეგოდ არა რჩება ხოლმე. ამიტომ დარბაისლობა და სიფრთხილე გვმართებს, რათა მთელ ჩვენს სიმპატიურ საზოგადოებას რაიმე ვნება და ხიფათი არ მივაყენოთ. ზოგ ადგილას საკმარისია საზოგადო კრებაზე არა ჩვეულებრივი ცხარე კამათი გაიმართოს, რომ ადგილობრივ „სფერებში" ამ გარემოებამ ყურადღება მიიქციოს. უნდა ვერიდოთ ყოველგვარ ექსცესებს, რომელიც ხშირია ხოლმე ჩვენს საზოგადოებებში, ნამეტნავად უნდა ერიდნენ პროვინციაში, სადაც „სფერები" უფრო თავხედურად იქცევიან ხოლმე, ვიდრე ტფილისში. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ არსებული წესდება საკმაოდ ფართოა, ერთის მხრით, და პარტიულ ბრძოლას, მეორეს მხრით, როგორც ყველასა გვრწამს ეს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ისეთ კულტურულ დაწესებულებებში, როგორიც არის წ.-კ. საზოგადოება...

დარწმუნებულნი ვართ, რომ ადგილობრივი განყოფილებანი ახალ ხანას დაიწყებენ ჩვენის საზოგადოების ცხოვრებაში, რომ ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალები ფართო წრეებში გაიტანენ საქმეს და ხალხს ჩააბამენ საერთო საქმეში, რადგან ჩვენს დროში სწავლა-განათლების გავრცელებისთანა დიადი საქმე ბევრი არც-კი არის სხვა. ამ რწმენით და იმედებით ვეგებებით პირველ განყოფილების გახსნას.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „ჩვენი აზრი" „ზაკავკაზიე"-ს ფელეტონისტს ფრიდონს ეკამათება მესამედასელების როლის შესახებ მარგანეცის მრეწველთა კრებებზე... ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს ძველი პოლემიკა განვაახლოთ და კიდევ ერთხელ გამოვამზეუროთ მთელი ის „საეჭვო ხასიათის" ოპოზიცია, რომელსაც მესამედასელები ეწეოდნენ იმ დროში, როცა ბ-ნ ზდანოვიჩის წინააღმდეგ ნიკოლაძეს, კალანდაძე და ემერიკებს უჭერდნენ მხარს; მაგრამ არ შეგვიძლიან არ ალვნიშნოთ გაზეთის შეუწყნარებელი იერიში, რომელიც ახლა მიაქვს ბ-ს ზდანოვიჩზე.

მესამე დასელებიდ, ბრძანებს „ჩვენი აზრი"-ს მეპრეხსე, ხაზს უსვამდნენ ზდანოვიჩის სისტემატიურს თვითნებობას, „სიეზდის" მიერ მიღებულ ხარჯთ-აღრიცხვის და დადგენილების

[illegible]

განსხვავება მარკო მეორის და სხვა შეერთებული სიტყვების მრე- [illegible] ისინი „თვითმპყრობლობა“, „ფულის უზნეობით [illegible]“, „ხარკი-აღრიცხვის დარღვევა“ [illegible]

[illegible]

ისეთი უსინდისო დევნა შეძლ ძალებისაგან მის წინაღმდეგ გამართულა, რომ [illegible] ანგარიშები [illegible] და თავისთავის [illegible] წარადგინდნენ [illegible] ცილისმწამებლისა!...

## დეპეშები

(პეტერბ. ტელეგრ. სააგენტოსაგან)

2 მაისი

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** სამხედრო სასამართლომ [illegible]

[illegible]

დამწყვეტი ხმა არ ექნებათ, რაიც დეპუტატთა პალატის ახალგაზრდა წევრებს ვერ დააკმაყოფილებს. ამ კანონ-პროექტს კაბინეტი დეპუტატთა პალატას ორშაბათს წარუდგენს და ამასთან შემოიტანს თავის პროგრამასაც კომიტეტი დარწმუნებულია, რომ პალატა უარჰყოფს ხილმი-ფაშის კანონ-პროექტის იმ მუხლს, რომლითაც მინისტრის ამხანაგს მინისტრთა საბჭოში გადამწყვეტი ხმა არ ექნება. თუ ასე მოხდა, მაშინ ახალი საკითხი იბადება, დარჩება თუ არა ეხლანდელი კაბინეტი. კომიტეტი იმედოვნებს, რომ ხილმი-ფაშა დარჩება, და თუ არ დარჩა, მაშინ სხვა გზა აღარ არის, პარლამენტარული კაბინეტი უნდა შესდგეს, რასაც პალატის ხნიერი დეპუტატებიც უნდა დაემორჩილონ.—სხვა გზა არ არის. კომიტეტს ძალიან აწუხებს ეს უთანხმოება და ამ უთანხმოებას სერიოზულ საქმედა სთვლის.

**სტამბოლი.** ოსმალეთ-ბოლგარიის შეთანხმების ოქმის მიღებამდე გამართულ კამათის დროს აღძრეს საკითხები: მუსულმანებმა ვაკუფის მამულების (მუსულმანთა საეკლესიო მამულების) შესახებ, ხოლო ბერძნებმა იმის შესახებ, რომ ბოლგარიაში უზრუნველ-ყოფილ იქნას პატრიარქატის პრივილეგია ბერძენთა თემების მმართველობის საქმეში. მუსულმანებსაცა და ბერძნებსაც უპასუხა უსუფ ქემალმა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ მუსულმანთა უფლებას ბოლგარიაში საკმაოდ უზრუნველ-ჰყოფს შეთანხმების ოქმიო, ხოლო პატრიარქატის უფლებაზე ლაპარაკიც-კი შეუძლებელია; ეს უფლება იმნაირად, როგორც აქ თხოულობენ, თვით საბერძნეთშიაც არ არის უზრუნველ-ყოფილი. და აბა ბოლგარიისგან როგორ უნდა მოვითხოვოთ ეგეთი პრივილეგიაო. შემდეგ დეპუტატმა რიზა ფაშამ მოითხოვა ოქმის შეცვლა, მასში უნდა შეტანილ იქნას მუხლი საზღვრის მოწესრიგების შესახებო. ყველა ორატორების პასუხად, გარეშე საქმეთა მინისტრმა სთქვა, რომ ბერძენთა თემების უფლებაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა, რადგან პირველ ხსენებაზედვე ბოლგარიის რწმუნებულმა ლიაპჩევმა გამოაცხადა, მოლაპარაკებას შევწყვეტ და წავალო. საკითხი ვაკუფ-ს მამულებზე საკმაოდ კარგადაა გადაწყვეტილი. საკითხი საზღვრის მოწესრიგების შესახებ რამდენისამე წლის წინად აღიძრა. მაშინ ოსმალეთს უარი უთხრეს და არც მაშინ გვქონდა და არც ეხლა გვაქვს იმედი, რომ ეს საკითხი სხვანაირად გადასწყდება. შემდეგ პალატა კენჭის ყრას შეუდგა. ოქმის მიღების წინააღმდეგნი იყვნენ ბერძნები და რამდენიმე ოსმალო.

**სტამბოლი.** გენერალისიმუსმა მახმუდ შევკეთ-ფაშამ უთხრა „თურქი“-ს თანამშრომელს, რომ კიდევ ბევრი დაისჯება სიკვდილითაო. ადანაში გაგზავნილი სამხედრო-სამოსამართლო კომისია 30 აპრილს მივიდა იქა და მოქმედებას შეუდგა.

სამწუხარო წყაროდან ხმა გავრცელდა, რომ სპარსელმა რევოლიუციონერებმა სთხოვეს ახალგაზდა ოსმალებს, სპარსეთში ოსმალეთის ჯარი შემოიყვანეთ რევოლიუციონერების საშველად შაჰისა და რუსეთის ჯარის საწინააღმდეგოდო; ამას გარდა სპარსელმა რევოლიუციონერებმა წინადადება მისცეს ახალგაზდა ოსმალებს, სპარსეთმა და ოსმალეთმა კავშირი შევკრათო. მცოდნე კაცები ირწმუნებიან, საეჭვოა, რომ ახალგაზდა ოსმალებმა გაბედონ ასეთი ავანტიურა, მაგრამ ის-კი შესაძლებელია, რომ მათ რამდენიმე რაზმი გაგზავნონ სპარსეთში ოსმალეთის ქვეშევრდომების დასაცველადო.

**სალონიკი.** „ერთობისა და პროგრესის“ ცენტრალურ კომიტეტთან დაახლოვებულ წყაროდან იუწყებიან, რომ კომიტეტმა გადასწყვიტა აბდულ-ჰამიდი ისევ სტამბოლში გადაიყვანოს და დაასახლოს ან ჩარაგანისა ან ბეილერბეის სასახლეში. ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი მოურიგდა ალბანელების სხვა და სხვა ელემენტებს. ალბანელები ამბობდნენ, რომ იილდიზ კიოსკის აღებისა და სულთნის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ სულთნის პიროვნება ხელშეუხებელი და თითქმის წმიდა შეიქმნაო. ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა ხელახლად დაარწმუნა ალბანელები, რომ აბდულ-ჰამიდს ხელს არავინ ახლებს, რადგან მუსულმანები პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ დამარცხებულსაო.

### სპარსეთი

**თავრიზი** 30 აპრილი. გენერალ სნარსკის მოთხოვნილებით, ენჯუმენმა ხალხს წინადადება მისცა, იარაღი აიყაროს. ინგლისისა და რუსეთის ელჩები ენჯუმენში მივიდნენ და კონსტიტუციის აღდგენა მიულოცეს. ენჯუმენმა ელჩები დაარწმუნა, სხვის დაუხმარებლად მოვახერხებთ, რომ რევოლიუციონერებმა იარაღი აიყარონო.

**თავრიზი** დილით ადგილობრივ გუბერნატორის 10 ცხენოსნისა და 4 რუსის ყაზახის თანხლებით კონსულის ფოსტა გაგზავნეს ურმიაში.

**ჯულფა.** ხოიდან იუწყებიან, რომ ეინუდ-დოვლეს ბრძანებით ნემატულა-ხანი თავის ჯარს ხოიდან მაქოში გადაიყვანსო. ქურთების ბეგი სიმკო განაგრძობს სოფლების აკლებას ხოის ოლქში.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** 30 აპრილს დეპუტატთა პალატამ კვლავ განაგრძო კამათი იმ შეკითხვაზე, რომელიც ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვას შეეხება. სოციალისტმა სემბამ პასუხი გასცა მინისტრს ბარტუს. მან განაცხადა: მოხელეთ უფლება აქვთ თავიანთ სამსახურს გარედ კრიტიკით შეეხნენ მთავრობის მოქმედებასაო. ჟორესმაც წარმოსთქვა სიტყვა და ის აზრი გაატარა, რომ ბრძოლა მოხელეთა მთავრობის წინააღმდეგ დასრულდება მაშინ, როდესაც მოხელეთა სინდიკატებსა და თავისუფლება დაკანონდებაო. კლემანსო ებრძვის იმასაო, სთქვა ჟორესმა, რის განხორციელებას და განმტკიცებასაც თვით სცდილობდა წინადაო. შემდეგ პალატაში გაიმართა კამათი რადიკალებსა და სოციალისტებს შორის. რადიკალებმა წასძახეს სოციალისტ დეპუტატს, რომ იგი ამორჩეული იქმნა რეაქციონურ ელემენტების დახმარებითაო. სოც.-დეპუტატებმა ამას ინტერნაციონალის სიმღერით გასცეს პასუხი. თავმჯდომარემ სხდომა დახურა. სხდომის გახსნისას ჟორესმა კვლავ ილაპარაკა და გაჰკიცხა სამინისტროს პოლიტიკა. მთავრობამ აღგვითქვა სტატს-სეკრეტარის სიმიანის დათხოვნა და აღთქმას უღალატა, არ შეასრულაო. [illegible] ტრიბუნაზე ავიდა მინისტრი ბარტუ, რომელმაც [illegible] მთავრობის გამართლებინა. მთავრობას ვერას დროს ვერ შევწამებთ, რომ იგი ნაკლების ყურადღებით ეპყრობოდეს მოხელეთა საჭიროებასაო. ბარტუ იცავდა სიმიანს, რომლის წინააღმდეგაც არ გაილაშქრა ყველამ. ბარტუს შემდეგ კლემანსომ განაცხადა, რომ მართვა გამგეობის საქმე ამ სამინისტროს ხელშია, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დათხოვნის შესახებ გამოცემული ბრძანება ძალაში დარჩებაო. მინისტრ-პრეზიდენტმა წინადადება მისცა პალატას, ორში ერთი აირჩიოს: ან დღევანდელ სამინისტროს კანონიერი რესპუბლიკანური პოლიტიკა, ან პოლიტიკა ავანტიურისა, რომელიც პალატის დათხოვნის მომასწავებელიაო. პალატამ 381 ხმით 121 ხმის წინააღმდეგ უარჰყო ვილმის ფორმულა, რომელიც მთავრობის მოქმედების გაკიცხვას შეიცავდა. შემდეგ მთავრობა მიემხრო მეკადიეს ფორმულას, რომელიც ამბობს, რომ პალატამ გადასწყვიტა არ მისცეს მოხელეთ უფლება გაფიცვისა, მოუთხოვოს მოხელეებს დაემორჩილონ კანონს, დისციპლინას და ერის წინაშე ნაკისრ მოვალეობას. პალატა დარწმუნებულია, რომ მთავრობა დაიცავს მთელ სახელმწიფოს საზოგადო ინტერესებსაო. ფორმულის პირველი ნაწილი რომელიც შეეხება გაფიცვის უფლებების უარყოფას, 454 ხმით იქმნა მიღებული წინააღმდეგ 50 ხმისა. პალატამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას (350 ხმით 159 ხმის წინააღმდეგ.

**ალბანი.** (ნიუ იორკის შტატი) ქვის სამტვრევ მაღაროებში დინამიტი ავეთქდა. დაიღუპა 25 კაცი.

**პარიზი.** დამე მოხდა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დიდი კრება. ორატორები ურჩევდნენ კრებას, განეგრძოთ გაფიცვა. ისინი ციფრებით ამტკიცებდნენ, რომ გაფიცულთა რიცხვი თან და თან მატულობს. კრებამ დაადგინა, განაგრძონ გაფიცვა იმ დრომდე სანამ შესძლებენ.

**ვენა.** მოვიდნენ გერმანიის იმპერატორი და დედოფალი. სადგურზე დახვდნენ იმპერატორი ფრანც-იოსები, ერც-

# ტრაგიკული გრძნობა ქართულს პოეზიაში

### ცოტა რამ ესთეტიურ გრძნობათა ცხოვრებიდან.

(შემდეგი. იხ. «დროება» N 94)

**3.**

გერმანელი ფსიხოლოგი ტ. ლიპპსი არა სცდება, როცა იგი გრძნობას „მეს მდგომარეობას“ უწოდებს და ამით იმის სუბიექტივობას წარმოდგენათა და შეგრძნებათა ობიექტივობას ნათლად უპირდაპირებს. ჩვენს სხეულს არა აქვს ცალკე ორგანო გრძნობათათვის, ისე როგორც ფერებისთვის თვალია, ხმათათვის ყური, ხოლო ყნოსვათა შთაბეჭდილებათათვის ცხვირი. „მეს მდგომარეობა“ და არა ჩვენი სხეულის, ფსიხიური და არა „ფსიხოფიზიოლოგიური მოვლენა“, როგორც ზოგიერთს ჰგონია,—ჩვენი მუდმივი ბინადარი ის ისევე უადგილოა, როგორც თვით მე. გრძნობაში ფიზიოლოგიური იმდენივეა, რამდენიც რკინაში ხე, „ფსიხოფიზიოლოგიური“ სიყვარული ან კაეშანი ან სიმხდალე ისეთივე უაზრობაა, როგორიც „ლურჯი სიხარული“ ან „მიხაკის ფერი ჭმუნვარება“. წამწამების ძირს დახრაში, ლოყების სიწითლეში და, საზოგადოდ, მთელის სახის და თვალების ერთგვარ განსაკუთრებულ მდგომარეობაში, რომლის აღწერაც შეუძლებელია, თითქო მორცხვობის გრძნობა სძევს: თითქო მორცხვობა ადამიანის სახიდან და თვალებიდან გამოიყურებოდეს ან გამოსჭვივოდეს, ისე როგორც, მეორეს მხრივ, ცრემლებსა და ტირილში მწუხარება და ტანჯვა, ხოლო სიცილში, შვება და მხიარულება იყურება ანუ იხატება.

ეს დამოკიდებულება გრძნობასა და მის გამომხატველ მოძრაობათა შორის არა ჰგავს იმ ასოციაციურ კავშირს, რომელიც ჩვენს წარმოდგენებსა და ცნობებს აერთებს ერთმანეთთან. მაგალითად, ნაპოლეონ პირველის სახელი იწვევს ჩემში წარმოდგენას აიაჩიოზე, სადაც ის დაიბადა, ბრიენზე, სადაც მან სამხედრო განათლება მიიღო, საფრანგეთის დიდს რევოლიუციაზე, რომლის მემკვიდრე ის არის, მის მიერ აჯანყებულ ტულონის აღებაზე, ეგვიპტის ექსპედიციაზე, იტალიაში გალაშქრებაზე, მეთვრამეტე ბრიუმერზე, როცა მან ხელთ იგდო სახელმწიფო ძალა და თავი პირველ კონსულად გამოაცხადა, ტალეირანსა და სიეიესზე, რომელნიც მას ეხმარებოდნენ; შემდეგ იმის ბრწყინვალე გამარჯვებაზე მარენგოსთან, აუსტერლიცთან და იენასთან, ძირითად რეფორმებზე, რომელიც მისმა ომებმა გამოიწვია და ძველი ევროპა სრულიად შესცვალა; მერე იმის დმაარცხებაზე ლეიპციგთან და ვატერლოოსთან და ბოლოს გაგზავნა წმ. ელენეს კუნძულზე, სადაც მან თავის სიცოცხლის უკანასკნელი დღენი დალია. ყველა ეს გამარჯვება და დამარცხება, ეს მტრები და მოყვარენი, ეს მთელი ისტორიული ეპოქის მსვლელობა ნაპოლეონის სახელთან არის მჭიდროდ შეკავშირებული და ჩემს მახსოვრობაშიაც მან გამოიწვია: მაგრამ მის სახეში, როგორც ის, მაგალითად, ფრანგმა მხატვარმა დელაროშმა დახატა (ლეიპციგის მუზეუმი), არა სძევს წარმოდგენა არც იმის მოწინააღმდეგეებზე ნელსონსა და პიტტზე, ალექსანდრე, პირველსა და ფრიდრიხ ვილჰელმზე, არც იმის გამარჯვებებზე ომში ძველ ევროპასა და რუსეთთან, არც იმ ნაციონალურ მოძრაობაზე, რომელიც იმისმა ბატონობამ გამოიწვია გერმანიაში, ესპანიაში და იტალიაში. აქ კი, მისი სახიდან, შორს გამყურე თვალებიდან, ოდნავ ჩავარდნილ მკერდიდან და მთელის სხეულის მდგომარეობიდან გამოიყურება რაღაც გამოუთქმელი სულიერი წყობილება რაღაც რთული გრძნობა, რომელიც თითქო შედუღებულია სიდიადისა და ნაღვლიანობისაგან. ეს „ნაღვლიანი სიდიადე“ თითქო მის ჩაფიქრებულ თვალებში სძევს პირდაპირ, უსაშუალოდ, პირველის შეხედვისათანავე და არა ცნებათა ან წარმოდგენათა ჯაჭვის შემწეობით. ვუცქერი ამ თვალებს და ღრმად მრწამს, რომ იქიდან ადამიანის სული, მისი გრძნობა გამოიცქირება, თუმცა კარგად ვიცი, რომ თვალების, სახის და სხეულის მოძრაობა ერთია, ხოლო გრძნობა და სულიერი მოძრაობა მეორე—პირველთან ყოვლად შეუდარებელი.

ამერიკელმა მეცნიერმა უილიამ ჯემსმა შემდეგ სიტყვებში მოკლედ გამოხატა ის ფსიხოლოგიური თეორია გრძნობებისა, რომელსაც ჩვენ აქ ვებრძვით: „ჩვენ ვსტირით იმიტომ კი არა, რომ მწუხარებას ვგრძნობთ, არამედ მწუხარებას ვგრძნობთ იმიტომ, რომ ვსტირით; ვფითრდებით იმიტომ კი არა, რომ შიშსა ვგრძნობთ, არამედ შიშსა ვგრძნობთ იმიტომ, რომ ვფითრდებითო“. ჯემსისა და იმის თანამოაზრე დანიელ ფსიხოლოგის კ. ლანგესთვის გრძნობა მუსკულების, გულის, სუნთქვის, სისხლის და სხეულის სხვა ნაწილების მოძრაობათა შედეგია, ან შეგრძნება და სხვა არაფერი. მთელი ჩვენი ფსიხიური გამოცდილება პროტესტს აცხადებს ასეთ შეხედულების წინაღმდეგ: ჩვენ სევდასა და ნაღველს ვგრძნობთ უფრო ადრე, ვიდრე ავტირდებოდეთ და მოვეშვებოდეთ—სანამ გულისცემა აგვიჩქარდებოდეს; მეტის-მეტ სიხარულისაგან ისევე ხშირად ვღვრით ცრემლებს, როგორც მეტის-მეტი მწუხარებისაგან, გული გვიცემს ისევე ჩქარა სიყვარულისაგან, როგორც გულის წყრომისა და სიძულვილისაგან. როცა თავს აუტანელი უბედურება გვატყდება, გულის გამლხობ ცრემლებს და გოდებას ამაოდ ვეძებთ, სახე გაშეშებული ჩუმად ვართ, მაგრამ ამით ტანჯვა არც გვიმსუბუქდება და არც ლხენად გვექცევა. ყველა ჩვენგანმა კარგად უნდა იცოდეს ის უბრალო და თვალსაჩინო ფაქტი, რომ მორცხობა არც სიწითლე და არც თვალების დახრა არ არის, რომ სევდა სხვაა და გულის ტკივილი და შეკუმშვა სხვა, რომ, ერთის სიტყვით, გრძნობის გამომხატველი მოძრაობა სხეულის გარეგნული მდგომარეობაა, ხოლო გრძნობა—გრძნობაა, წმინდა ფსიხიური მოვლენა, შინაგანი სულიერი მოძრაობა ანუ მოკლედ „მეს მდგომარეობა“.

როგორც მთლიანი და განუყოფელია თვით მე, ისე მთლიანი და განუყოფელია გრძნობა და სულიერი წყობილება, რომელსაც მე განიცდის ერთს რომელსამე განსაზღვრულ წუთში. მეს არ ძალუძს ერთი მეორეს გვერდზე ცალკ-ცალკეთ იქონიოს რამდენიმე დამოუკიდებელი გრძნობა, ისე როგორც მას, მაგალითად, შეუძლიან ერთსა და იმავე წუთში ერთი მეორის დამოუკიდებლად ცნობიერების ან ყურადღების ფარგალში ოთხიდან ექვს წარმოდგენამდი მოათავსოს. ერთის გრძნობის ტალღა უერთდება მეორეს და შობს სულიერ წყობილების იმ თვალუწვდენელ უპირო ზღვას, რომლის მრავალ მხრივობაში თვით მე ჰკარგავს თავის თავს. „მე ვეღარ გამოვსულვარ ხმელეთზეო“, ამბობს ერთი გერმანელი რომანტიკოსი: „ჩემი გრძნობა ხტის უმაღლეს სიმაღლიდან უმდაბლეს დაბლობში“... გრძნობის ეს უცნაური საქანელა სტკბება ხან სინათლით და ხან ჩრდილით, ეძლევა ცრემლთა სიტკბოებს და ლაღი ლხენის მელანქოლიასა, ბედნიერების სიმთვრალეში სიკვდილის სიდიადეს ჰხედავს, არსებობის უმაღლეს მწვერვალზე თავის არარაობას ჰგრძნობს და თავის საკუთარ ტკივილებს იდუმალის სიამოვნებით შესცქერის“.

ასე, მარტივის გრძნობების შედუღებით იბადება რთული სულიერი წყობილება, განუყოფელი და მთლიანი, მასთან მდიდარი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ტალღებით და ზვირთთა რყევით. მაგალითად, როცა მე რაფიელ ერისთავის იდილიებს ვკითხულობ, იმის შეუდარებელ „ზამთარს“ ან „აღდგომას“ ან „ბზობას“, ვუსმენ მოცარტის ბავშვურ უმანკოებით და სიცელქით აღსავსე სიმფონიებს და სონატებს, ან ვუცქერი მურილლიოს სურათებს, სადაც უდარდელი ბავშვები საზამთროს შეექცევიან ან გაყიდულ ყვავილებიდან მოგებულ ფულს ითვლიან, ესტეტიურ სიამოვნებასთან ერთად ვგრძნობ რაღაც გამოუთქმელს, რთულს და მრავალ მხრივს, რისი სიტყვებით გადმოცემა მხოლოდ დაახლოვებით შეიძლება... იქ არის სევდა დაკარგულ ბავშვურ ბედნიერებაზე: ის ნეტარი დრო ჩემის უმწიკვლო პაწიაობისა, როცა მეც უნაღვლელად ჩიტებს დავსდევდი, თოვლში ვხტოდი და ვკოტრიალებდი, არ ვეპუებოდი არც სიცივეს, არც დაღლილობას, არ ვიცოდი, თუ რა არის ზრუნვა, ადამიანის სიმდაბლე და ნამდვილი მუხანათობა,—ეს დრო უმანკო რწმენისა და ცელქობისა სამუდამოდ წავიდა და მისი უკან დაბრუნება არავითარ ძალას არ შეუძლიან. მაგრამ არის რაღაც სიტკბოება ამ სევდაში: ჩემი ბავშვობა არის ჩემი საკუთრება, რომელსაც მე ვერავინ შემეცილება, რომელსაც მე ვერავინ წამართმევს სწორედ იმიტომ, რომ ის წასულია და სამუდამოდ ჩემს მახსოვრობაში იქნება აღბეჭდილი. განვლილი ბედნიერება აღარ იწვევს ჩემში ისეთ შიშს და მზრუნველობას, როგორც ჩემი მომავალი გამოურკვეველი ბედი და ამიტომ ამ სევდაში რაღაც იჰვიანობისა და შიშის მოწინააღმდეგე გრძნობა სძევს; ამასთან მე ვგრძნობ გულჩვილ თანაგრძნობას იმ ბავშვისადმი, რომელმაც არც კი იცოდა, თუ რამდენად სახიფათო და საშიშია პაწია ხელებით ხეებზე აცოცება, რამდენად სახიფათო და საშიშია, საზოგადოდ, ცხოვრება ადამიანისა. და ყველა ამ გრძნობას: სევდას, სიამოვნებას, უზრუნველობას და გულჩვილობას მე განვიცდი არა ცალცალკე, ერთი-მეორის გვერდით, არამედ შედუღებულს და შეერთებულს ერთს გამოუთქმელ სულიერ წყობილებაში, სწორედ იმ სულიერს წყობილებაში, რომელსაც ალბად განიცდის ყოველი თქვენგანიც, როცა რ. ერისთვის და ვაჟა-ფშაველას იდილიებს კითხულობს ან მოცარტის და შუბერტის მუსიკას ისმენს.

**4.**

ჩვენს ესთეტიურ ყოფა-ქცევაში იმალება ერთი უცნაური ამოცანა, იდუმალი მიზეზი იმ ღვთაებრივ მტანჯველ სიამოვნებისა, რომელსაც თვითეული ჩვენგანი განიცდის, როცა ბუნების მშვენიერებით ნა-

ვერტოგები და ჰერცეგოვინები და სამხედრო და სამოქალაქო უწყების წარმომადგენლნი.

**ბელგრადი.** უცხოეთის ზოგიერთ გაზეთებში გაიბეჭდა ცნობა, რომ ბოლგარიის და სერბიის ურთიერთ დამოკიდებულებას ამ მოკლე ხანში განსაკუთრებულ ფორმას მიიღებსო. ბოლგარიის გაზეთი „ვეჩერ. იზ." ამ ამბავს უმატებს, რომ სახელმწიფოებმა იტალიას მიანდეს ბოლგარიის და სერბიის მთავრობებს გამოელაპარაკოს იმ აზრით, რომ ხელი შეუწყოს ბოლგარია-სერბიის უნიის განხორციელებასო. ეს ხმები ყოველსავე საფუძველს მოკლებულია. მართალია, სერბიას სურს, რომ ბოლგარიასთან მეგობრულად იცხოვროს, მზადაა შეკავშირებისთვის, მაგრამ სერბიას ჯერ ამ მხრივ არაფერი გაუკეთებია.

**ვილგელმს - ჰაფენი.** საზღვაო არტილერიის სავარჯიშო სროლის დროს მოკვდა ერთი „ვოლნოოპრედელიაუშჩი", მძიმედ დაიჭრა ერთი და მსუბუქად 4 მატროსი. მიზეზი ზარბაზნის უდროოდ გასროლა იყო.

**ვენა.** მაჰმადიანთა ოპოზიციის გაზეთ „მუზავატში"-ში დაბეჭდილია: ბოსნია - ჰერცოგოვინას მაჰმადიანები მართმადიდებელ სერბებს შეუერთდებიან და მათთან ერთად წინააღმდეგობას გაუწევენ იმათ, ვინც ბოსნია-ჰერცოგოვინის ხორვატიასთან შეერთებას მოინდომებსო.

**კანტონი.** აქაურმა გენერალ-გუბერნატორმა ამბავი მიიღო, სამხრეთ ჩინეთში, ტიბეტის საზღვარზე, ორი გერმანელი მოგზაური მოჰკლესო. მკვლელობის ადგილზე ჯარსა ჰგზავნიან.

### რ უ ს ე თ ი

**მოგილევი.** 30 აპრილს გომელის სამაზრო პოლიციამ მოჰკლა ყაჩაღი სავიცკი, რომელიც ეს რამდენიმე ხანია შიშის ზარსა სცემდა მცხოვრებთ. ერთმა დატუსაღებულმა ყაჩაღმა პოლიციას გადასცა რომ სავიცკი თავის ამხანაგებით სოფ. კრასნოეში არისო. ბოქაულმა საერობო დარაჯებით ალყა შემოარტყა სოფ. კრასნოეს. ყაჩაღებმა პოლიციას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. სროლამ კარგა ხანს გასტანა. მოკლულ იქმნა 4 ყაჩაღი, მათ შორის სავიცკი. მეხუთე მიიმალა. მოკვდა დარაჯი —დროპიშევსკი.

**რიგა.** რომანოვის ქუჩაზე, პეტერსონის სახლოსნოში პოლიციამ აღმოაჩინა კარგად მოწყობილი საიდუმლო სტამბა. ნახეს დასაბეჭდი მაშინა, პასპორტის ბლანკები, 8,000 ცალი არა ლეგალურ გაზეთ „ცინაზი"-სა, ხელთნაწერები, ბროშიურები, პროკლამაციები, პატრონები, სოფლის მამასახლისების ბეჭდები და სხვა. სახელოსნოს პატრონი პეტერსონი მიიმალა.

**პეტერბურგი.** სენატმა საბოლოოდ გამოაცხადა განაჩენი ლოპუხინის საქმის გამო. სენატმა ლოპუხინი დამნაშავედ იცნო იმაში, რომ მან იცოდა იმისთანა საზოგადოების არსებობა, რომლის მიზანიც იყო აწ არსებულ წესწყობილების გაუქმება, შეიარაღებული აჯანყება, ტერორისტული აქტები, ხელმწიფის მოკვლა; მან ამ საზოგადოებაში მონაწილეობაც მიიღო, რაიც იმაში გამოიხატა, რომ 1908 წელს, ნოემბერს პეტერბურგში და ამავე წელს დეკემბერს ლონდონში გასცა აზეფი, რომელიც ამ საზოგადოებაში წევრად ითვლებოდა და ამასთან მთავრობას ატყობინებდა მათ მიერ განზრახულ ტერორისტულ აქტებს და მოქმედებას. თუმცა ლოპუხინმა იცოდა, რომ აზეფი ტერორისტულ აქტების განხორციელებას ხელს უშლიდა, მაგრამ მაინც გასცა იგი. რუსეთის ძირითად კანონების ძალით ასეთი მოქმედება უვადო კატორგით ისჯება, მაგრამ რადგან ლოპუხინის მოქმედებაში სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებაა, ამიტომ სენატმა ლოპუხინს 5 წლით კატორგა გადაუწყვიტა. ლოპუხინს საქმე გადააქვს.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა კანონ-პროექტი, რომლითაც პოლონეთს უნდა გამოცლოდა სედლეცის და ლიუბლინის გუბერნიების აღმოსავლეთი ნაწილები და ამ გამოყოფილ ნაწილებისაგან უნდა შემდგარიყო ხოლმის გუბერნია.

მთავრობის ნებართვით 1910 წლის სექტემბერში პეტერბურგში მოხდება მეხუთე საერთა-შორისო საზებიო—საგინეკოლოგო კრება.

**გოლტა.** სადგურ კამენი მოსტის მახლობლად ლიანდაგიდან გადავარდა საფოსტო მატარებელი. ვიღაც ბოროტგანზრახველებს რელსები გაეფუჭებინათ. მოკვდა 1 კონდუქტორი, მძიმეთ დაშავდა რამდენიმე მგზავრი, მატარებლის მოსამსახურე და ფოსტის მოხელე.

**პეტერბურგი.** მესამე სესხის მოგებათა ტირაჟი: 200,000 მანეთი ჰხვდა სერია 2,476 № 30 მოგება 75,000 მანეთი სერია 13,832 № 29; 40,000 მანეთი სერია 15,937 № 28; 25,000 მანეთი სერია 15,937 № 3; 10,000 მანეთი სერია 6,380 № 47; სერია 2,172 № 48; სერია 10,794 №47; 8,000 მანეთი: 2,437/2, 11,252/12, 1786/9, 7,440/15 2,128/27; 5,000 მან.: 2,755/46, 6,187/2, 01858/34, 13,952/25, 13,925/17(?), 10,292/25, 10,007/49; 6,831/38; 1000 მან.: 11,214/9, 4219/13, 13,4586/, 2,727/33, 760/14, 76/9, 13,174/41, 10,198/13, 14,355/19; 15,045 22, 2,244/35, 12,389/42, 6,710/22, 12,592/8, 1,307/11, 6,035/41, 5,026/8, 7,572/50, 14,555/39, 1,740/10.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**ბ ი უ ჯ ე ტ ი.**

პირველ მაისის სხდომაზე სათათბირომ მოისმინა (განხილვის ნება არა აქვს) ხარჯთ-აღრიცხვა საიმპერატორო კარის სამინისტროსი. ამ სამინისტროსთვის წელს გადადებულია 16,359,595 მანეთი, თითქმის თექვსმეტ მილიონ ნახევარი. სათათბირომ მოისმინა აგრეთვე უმაღლეს დაწესებულებათა ხარჯთ - აღრიცხვა: სახელმწიფო სათათბიროსი—2,742,341 მან., სახელმწიფო საბჭოსი—2.221,287 მ., სახელმწიფო კანცელარიისა—2,185,036 მ., მინისტრთა საბჭოს კანცელარიისა—147,206 მან., ხელმწიფე იმპერატორის საკუთარ კანცელარიისა—741,703 მან., ხელმწიფე იმპერატორისავე კანცელარიისა, რომელიც თხოვნებს იღებს—530,356 მან.

სახელმწიფო სათათბიროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს როზანოვმა წინადადება შეიტანა, დაიკლონ დეპუტატებმა ჯამაგირი და მიიღონ იმდენი, რამდენსაც წინად იღებდნენ (ეხლა მთელი წლით ეძლევათ დეპუტატებს ჯამაგირი). ამ წინადადებას კენჭი უყარეს, მაგრამ ხმის უმეტესობით უარ-ჰყვეს. დეპუტატების ჯამაგირის დაკლებას მხარს უჭერდნენ მხოლოდ მემარცხენენი.

ამავე ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს გამოირკვა, რომ სათათბიროს მდივნის თანაშემწეს ზამისლოვსკის (უკიდურესი მემარჯვენეა) შობის დღესასწაულების დროს, ესე იგი როცა მუშაობა არ იყო, ზედმეტი ფული გამოუწერია თავისთვის და ეს ფული თავის შრომის ჯილდოდ ჩაუთვლია, რისი უფლებასაც არა ჰქონდა. სათათბირომ არაფრად ჩააგდო ასეთი ამბავი.

შემდეგ საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ალექსეენკომ წაიკითხა კომისიის მოხსენება სახელმწიფო შემოსავლის შესახებ ამ 1909 წელს. ფინანსთა სამინისტროს ანგარიშით ეს შემოსავალი 2,476,977,241 მანეთს უდრის. კომისიამ ეს თანხა 18,236,259 მანეთით შეამცირა, რასაც ფინანსთა მინისტრიც დასთანხმდა:

სათათბირომ მიიღო შემოსავლის აღრიცხვა და შეუდგა წვრილმან კანონ-პროექტების განხილვას.

შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა განცხადება 31 დეპუტატისა. ამათი განცხადება შემდეგია: განსახილველ საქმეთა სიაში შეტანილ იქნას საკითხი იმის შესახებ, რომ სასურველად იქნას ცნობილი შეიცვალოს 3 ივნისის სარჩევნო დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

როდესაც პურიშკევიჩმა ამის გამო დაიძახა—კოლიუბაკინის დაბრუნება უნდათო, მაკლაკოვმა ცხარე სიტყვა წარმოსთქვა. შეეხო სასამართლოს და სთქვა: სასოწარკვეთილებას ეძლევი, იმ გარყვნილებისაგან, რომელიც ჩვენ სასამართლოებში შეიტანეს (თავმჯდომარემ შეაჩერა), მთელი ქვეყნის წინაშე მასხარად აიგდეს კანონი და მართლ მსაჯულება, ამას ამტკიცებს ის უსირცხვილობა, რომელსაც სახელად „ლოპუხინის პროცესი" ჰქვიან (თავმჯდომარემ კიდევ მისცა შენიშვნა).

31 დეპუტატის წინადადება სათათბირომ მიიღო.

სოც.-დემოკრატებმა შეკითხვა შეიტანეს ადმინისტრაციის მიერ პირველ მაისის დღესასწაულის აკრძალვის შესახებ. სიტყვა წარმოსთქვა მხოლოდ კუზნეცოვმა. კენჭის ყრით უარჰყვეს შეკითხვა. შეკითხვას მხარი დაუჭირა მხოლოდ ოპოზიციამ.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **დიდი სეირნობა და ლატარია წ.-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 3 მაისს, მუშტაიდის ბაღში ქ. [?]. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება დიდი და მეტად საინტერესო სახალხო სეირნობა და ლატარია. გამგეებმა ყოველი საშუალება იხმარეს, რომ სეირნობა და ლატარია ძალიან საინტერესო იყოს. დილით 10-დან 2 საათამდე გაიმართება განსაკუთრებული გასართობი ბავშვებისთვის: იქნება ბურთაობა, ნიშანში სროლა, გადახტომა, ბოძზე აცოცება, კარუსელი და მრავალი სხვა. ნაშუადღევის ოთხი საათიდან დაიწყება სეირნობა და ლატარია. ლატარიაში ბევრი ძვირფასი ნივთია ჩაგდებული. ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ არც ერთი ბილეთი არ იქნება ცარიელი, ყველა ბილეთი მომგებიანია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველა ქართველი თავის მოვალეობად ჩასთვლის, დაესწროს ამ სეირნობას.

✦ **პირველი მაისი.** პირველმა მაისმა ტფილისში ჩვეულებრივად ჩაიარა. მუშაობა იყო ქარხნებსა, სავაჭრო სახლებსა, სტამბებსა და სხვაგან. ქალაქში პოლიცია გაძლიერებული იყო. საღამოთი ზოგგან ჩხრეკა იყო.

✦ **ჰაეროპლანი.** „პეტერ. ლისტ." სიტყვით, პეტერბურგში ერევნიდან ჩასულა ვინმე დავით ბაბაშვილი, რომელსაც თავის სახელოსნოში (ერევანში) ჰაეროპლანი გაუკეთებია. ჰაეროპლანი დაუშლია და ისე წაუღია პეტერბურგში. ბაბაშვილი თავის ჰაეროპლანით გაფრენას დღეს, 3 მაისს, აპირებს თურმე. ბაბაშვილი აფრინდება პეტერბურგში და ქალაქ ლუგაში წავა. ბაბაშვილი მთავრობას არავითარ სუბსიდიას არა სთხოვსო, სწერს გაზეთი. ბაბაშვილს უთქვამს, სუბსიდია არ მინდა, როცა დაინახავენ, რომ ჩემი ჰაეროპლანი მართლაც გამოსადეგია, მსურველები თვითონ გამოჩნდებიანო.

✦ **ქსნის ამხანაგობა.** როგორც მკითხველს ეხსომება, ტფილისის მცხოვრებლებმა, სამოცამდე კაცმა, შეადგინა ამხანაგობა, შეიძინა ადგილები ქსანში და გააშენა აგარაკი. ამხანაგობას აზრადა აქვს წყალი გამოიყვანოს. 6 მაისს, დილის 10 საათზედ ანასტასიის ქუჩაზე (№ 14) მოხდება კრება მოაგარაკეთა წყლის გამოყვანის შესახებ მოსალაპარაკებლად.

✦ **ქალაქის საბჭო.** ხვალისთვის დანიშნულია სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი. საბჭოს სხვათა შორის წარედგინება მოხსენება უსახელო საზოგადოების შუამდგომლობის გამო. როგორც ვიცით, საზოგადოება შუამდგომლობს კონცესიის ვადის გაგრძელებაზე და სხვა რამეებზე.

✦ **ოსების განმანათლებელ-გამომცემელი საზოგადოება** დღეს, 3 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, მოხდება ოსების განმანათლებელ-გამომცემელ ამხანაგობის „რუხს"-ის (სინათლე) დამფუძნებელი კრება. კრება მოხდება კუკიის პირველდაწყებით სკოლის შენობაში, ავჭალის ქუჩაზე, № 29. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობა და სარევიზიო კომისიის წევრნი.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს 3 მაისს, სახალხო სახლში ა. ს. ხატისოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ძლიერი ხალხი მწერლობაში და ცხოვრებაში" (ბრანტი და სოლნესი ჰენრიხ იბსენისა). დასაწყისი 11 საათზე.

✦ **სიტყვა-კაზმული მწერლობა.** სამშაბათს, 5 მაისს, საღამოთი მოხდება მორიგი კრება ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა. კრებაზე ბ-ნი ს. გორგაძე წაიკითხავს საყურადღებო მოხსენებას ქართულ წყობილ-სიტყვაობაზე, რუხაძე და ევდოშვილი—ლექსებს.

✦ **შავროვი.** როგორც ვწერდით, საამიერ-კავკასიის სადგურის ყოფილი გამგე ცნობილი წევრი პატრიოტულ საზოგადოებისა შავროვი დაინიშნა გადმოსახლების სამართველოს საგანგებო საქმეთა მოხელედ. შავროვი უკვე ჩამოვიდა პეტერბურგიდან ტფილისს და შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.

✦ **ხორცის სიძვირე.** [illegible] მეტია ტფილისში ხორცი გაძვირდა. გირვანქა 14 [illegible] იყიდება.

✦ [illegible] ილია წინამძღვრიშვილი გვწერს: „სამი დღის წინად ვიყავი ტფ. საბაღოსნო სკოლაში იმ აზრით, რომ მენახა ის ორმოები, რომელშიაც გენერალ ლევიცკის დარიგებით თითო მარცვალი ხორბლისა იყო დათესილი. დავათვალიერეთ ორმოები სკოლის მმართველის ბ-ნ მელიას თანადასწრებით. ორ ორმოში იყო ამოსული ღეროები: ერთში 51 ღერო, მეორეში-კი 84, სიმაღლით ნახევარ არშინზე. ღეროები თავთავს მალე გაიკეთებენ. ურჩევ მეურნეებს ნახონ სკოლის ბაღში ბუჩქებად გადაქცეული ერთი მარცვლის ღეროები".

✦ **პეტერსონის მოქმედების გამოძიება.** როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, დეპუტატმა პურიშკევიჩმა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის მმართველს პეტერსონს სხვა და სხვა უკანონო მოქმედება დააბრალა. „კასპის" სიტყვით, პეტერბურგში ხმა დადის, რომ პეტერსონის მოქმედებას საიდუმლოდ ეძებენო.

✦ **კავკასიის ნამესტნიკობის გაუქმება.** გაზეთ „რეჩი"-ს სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი მალე პეტერბურგში წავა. ნამესტნიკი პეტერბურგიდან აღარ დაბრუნდება, მას „წითელ ჯვრის" სამმართველოს უფროსობას მისცემენო. განზრახულია, რომ ამიერ-კავკასიაში საგენერალ-გუბერნატოროები შემოიღონო.

✦ **გუბერნატორების კრება.** ამ ჟამად ტფილისში იმართება ამიერ-კავკასიის გუბერნატორებისა და სახელმწიფო მამულების მმართველთა კრება. კრებამ უნდა შეიმუშაოს ის ზომები, რომლებითაც შეიძლება მოწესრიგდეს დროებით ვალდებულ გლეხთა და მემამულეთა დამოკიდებულება.

✦ **ბ-ნ ნიკოლაძე.** როგორც ბ-ნი ნიკოლაძე „ზაკავკ."-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებს, ტყუილია ის ხმა, ვითომ ნიკოლაძისთვის შეეძლიოთ როტშილდის საქმეების მართვა-გამგეობა კავკასიაში და ვითომ მოსალაპარაკებლად ნიკოლაძე პარიზში წასულიყოს.

✦ **სომხების დაპატიმრება.** სოფლებშიაც შესდგომიან სომეხ ინტელიგენტთა დაპატიმრებას. ჯერ-ჯერობით, როგორც ამბავი მოვიდა, გაუჩხრეკიათ და დაუპატიმრებიათ რამდენიმე კაცი ერევნის გუბერნიის სოფელ ვაჰარშაპატში. ვინც აქამდე დააპატიმრეს, ჯერ არ გაუნთავისუფლებიათ.

✦ **სამეურნეო საზოგადოების ბიურო.** კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საოპერაციო ბიურო ვერ ახერხებს და, როგორც სასურველია, ვერ აწვდის მეურნეებს გოგირდს, შაბიამანსა და სხვა წამლებს. მიზეზი უმთავრესად ვაჭრების ძლიერი მეტოქეობაა და ალბად თვით ბიუროს უფხოობაა. ბიურომ ვერც განყოფილებანი მოაწყო სიღნაღსა, თელავსა და სხვაგან. ლაპარაკი ბევრი იყო სამეურნეო საზოგადოების განახლებაზე, საქმით კი ჯერ არაფერი გაკეთებულა.

✦ ვერაზე, „ედემის" ბაღში, 2 მაისს ოთხ კაცს ქეიფი ჰქონია. ნახარჯის გასწორების დროს ერთს მოქეიფეთაგანს რევოლვერი ამოუღია და დამუქრებია მოსამსახურეს ანგირიშის წარდგენისათვის. მეორე კაცს საყვედური უთქვამს ამხანაგისათვის და შესდგომია ნახარჯის გასტუმრებას. რევოლვერიანს, და მასთან ორ ქალს, ეს რომ დაუნახავთ, მისცვივნიან ამხანაგს, უცემიათ, წაურთმევიათ 30 მან. და წასულან. გაძარცული აღმოჩნდა გერმანიის ქვეშევრდომი კარლ გეროტლე. გეროტლემ პოლიციას გამოუცხადა, უცნობი ქალები და კაცი გავიცანი ოლგას ქუჩაზე, მოსკოვის სასტუმროში. პოლიციამ სამივენი დააპატიმრა. დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ ისაი კირიონოვი, ედუქსია ბოლკუნოვი და აკულინა კრავჩენკო. კირიონოვს რევოლვერი აღმოაჩნდა.

✦ 1 მაისს, ელისაბედის ქუჩაზე, დააპატიმრეს ტფ. მაზრის მცხოვრებნი მიხეილ პიხეშვილი და გიორგი ცერცვაძე, რომელნიც 4 ხარს მიერეკებოდნენ. ხარები ამათ მოუპარავთ სოფელ ავჭალის მახლობლად და ტფილისში გასასყიდად ჩამოუყვანიათ.

✦ პოლიციამ, 1 მაისს, დააპატიმრა ილიკო სულაძე და სედრაქ თასიპოვი, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულნი იყვნენ, მაგრამ ტფილისში დაბრუნებულან.

---

**რედაქციისაგან.** „დროების" მე-93 ნომერში შეცდომით დაიბეჭდა კორესპონდენცია ოზურგეთიდან ნაპერწკალისა.

---

ხელოვნურ ნაწარმოებით სტკბება. ეს მოვლენა არის ეგრედ წოდებული **„გრძნობის შეტანა"**, ადამიანის სულის მისტერიის ერთი უუმნიშვნელოვანესი და უუბნელესი კუთხე, რომლის გასანათლებლად თავს იმტვრევს თანამედროვე ფსიხოლოგიური ესთეტიკა. ყოველს ესთეტიკურს სიამოვნებას, ხელოვნურ მშვენიერების მიერ გამოწვეული იქნება იგი თუ ბუნებრივის, საძირკვლად უძევს შეხედულება ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ე. ი. სმენა, მზერა და ფანტაზია: იქ სადაც თავდება ტონებისა და ხმების, ფერებისა და ფორმების და ადამიანის ფანტაზიის სამეფო, თავდება ესთეტიურ მშვენიერების სამეფოც. ერთის მხრით, ფრანგი ფილოსოფოსი მ. გიუიოს წინააღმდეგ ჩვენ შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ ადამიანის სხვა ნიჭთ: ყნოსვას, შეხებას, გემოვნებას, სითბო-სიცივის შეგრძნებას და სხ. განსაკუთრებით ხელოვნებაში თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ, ხოლო, მეორეს მხრით, სპეკულიატიურ ესთეტიკის წინააღმდეგ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ განყენებული ცნებანი და იდეანი, უხორც-უსისხლო აჩრდილნი მეცნიერულ და მეტაფიზიკურ აზროვნებისა, მოკლებულნი არიან ყოველგვარ ესთეტიურ გავლენას. არ არსებობს არც ყნოსვათა შთაბეჭდილების, არც ლოღიკურ ცნებების სიმფონია. აზრი უნდა გამოეთხოვოს მეცნიერულ სინათლეს და განსაზღვრულობას, დაჰკარგოს ლოღიკური ერთფეროვნება და სიმტკიცე, გაეხვიოს ფანტაზიის გამოურკვეველ ბურუსში და ხმების და ფერების სისხლ-ხორცი შეისხას: მაშინ და მხოლოდ მაშინ შეეძლება მას ჩვენის ესთეტიურ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. გრძნობა და ნების ყოფა ამ მხრივ უფრო ბედნიერია.

ყოველ მხატვრულ ფორმაში, ყოველ მუსიკალურ აკკორდსა ან მელოდიაში, ყოველ პოეტურ ფანტაზიის ქმნილებაში ადამიანის გრძნობა სცხოვრობს. თითქო ადამიანისავე სული ჰფეთქს მშვენიერ ბუნებაში, ხან მოწყენილში და მელანქოლიურში, ხან მხიარულში, ცელქსა და დაუდევარში, ხან უზომოდ გულგრილში მოაზროვნე, მგრძნობიარე და მებრძოლ ადამიანისადმი. უბრალო, სულ ჩაუდგმელს ფერებს, ხმებს და ფორმებს არასოდეს არ შეეძლო გამოეწვია ის დიდი, გონებისთვის მიუწდომელი სიამოვნება, რომელიც მეს თავის თავს ავიწყებინებს, ავიწყებინებს სინამდვილეს, თავისწვრილმან და უხამს ინტერესებით და უკვდავებას უახლოებს. მკვდარი, გრძნობის სიცხოველეს მოკლებული ბუნება ის აუტანელი საშინელება იქმნებოდა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ დემონისებურის სიძლიერით გვამცნო თავის დიდებულს „სიზმარში"—ტარტაროზი, სადაც მხიარულება და სიცილი აუზრო ხარხარმა მოჰკლა, ხოლო ტანჯვა და მწუხარება—კბილთა ღრჭენამ. თვით ისინიც კი, ვისაც ღრმადა სწამთ, რომ მეცნიერებამ სამუდამოდ განდევნა ღმერთება ბუნებიდან, ესთეთიურის ექსტაზის დროს, დაბურულ ტყეში, იდუმლობით და მრავალ მეტყველის სიდიადით გარემოცულნი კნუტ ჰამსუნის გმირივით ნათლად ჰხედავენ ზურგს ბუნების უკვდავ ღმერთისა, მიმავალ პანისას.

რაღაც ბედნიერის, მაგრამ შეუგნებელის ნიჭის ძალით ესთეტიურ პიროვნებას შეაქვს გრძნობა და სულიერი ცხოვრება ბუნებაში, ისევე როგორც ხელოვნების ნაწარმოებში. შემოდგომის ბუნებაში იგი ხშირად ხედავს სევდას და ნაზ-მოწყენილებას, გაზაფხულისაში—მთვრალ თავდავიწყებულ განცხრომას, ამაყს სიდიადეს და ჯიუტობას მთების ზეცისკენ სრბოლაში და ცელქ უმანკოებას ანკარა რუს ჩხრიალში. ილია ჭავჭავაძემ თავის „ყვარლის მთებში" თითქმის ტრაგიკულ სიდიადემდი აიყვანა სულიერი მოძრაობა სამშობლო მთებისა,

სადაც ღრუბელნი ვერ ჰბედავდნენ შიშით სრბოლასა,
სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლასა...
იქ მე ვნატრობდი, ყმაწვილ ყრმობის სიმარტივითა,
ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა...
როცა ჰქმუოდნენ ხევში მძვაფრნი სასტიკნი ქარნი,
ვით ას მრისხანე დაჭრილ ლომთა საშიში ხმანი,
ვითა ფოთოლი, ისე ვთრთოდი, ვუგდებდი რა ყურს,
იმ ხმებში ვგრძნობდი მე რაღაცას ნაცნობს მშობლიურს.

ამავე პოეტის მეორე დიდ ნაწარმოების —„აჩრდილის" დასაწყისი კი გრძნობათა მთელი სიმფონიაა და ამ სიმფონიის მატარებელი მისი საყვარელი „მყინვარია":

იგივ დიადი, იგივ მძვინვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ...
ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ხვავი
დასცქერის რისხვით და მუქარებით,—
თითქო ელისო განკითხვის დღესა,
რომ იგრიალ ოს, წამოიქუხოს,
ხმელეთს დაეცეს, მერმეე ქვესკნელსა
თვითვე დაიღუპოს, ისიც დაღუპოს.
მაგრამ ისეთი მშვიდი, ნარნარი
იყო იმ დღესა ლამაზი დილა,
რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი
იმ დილის მადლსა დაემორჩილა.

აქ ბუნება იბრძოდა, იტანჯებოდა დიად ტრაგიკულ გმირივით ან როგორც

თერგი მრისხანე, თერგი ბრდღვინვარე
ქაფისა ზვირთთა მიაქანებდა,
ვით შმაგი ლომი, დაჭრილი, ცხარე
ჰბობდა, ჰბღაოდა, მიღრიალებდა,

უცხოეთში კი ის გულგრილი, ლაღი უდარდელობით და უზრუნველობით იყო სავსე:

ქვეყანაზედ და ზეცაზედა იყო დუმილი.
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიები ცისა...
და მე კი მკლავდა მწუხარების წყლულთა ტკივილი,
შიგ გულში მედვა სასიკვდილო გესლი სევდისა.

„მშვენიერი სულის" მეორე დიდი მაძიებელი ქართველი ნ. ბარათაშვილიც ბუნებაში თავისებურს ცხოვრებას და გრძნობათა მოძრაობას ჰხედავს: ეს არის პოეტი მელანქოლიურ, ნაღვლიან ბუნებისა, ისე როგორც ილია ჭავჭავაძე ტრაგიკულ და დიად ბუნების, ხოლო ვაჟა-ფშაველა ქალწულებრივ ხელუხლებლობით სავსე ბუნების პოეტია. თავის ელეგიაში „შემოღამება მთაწმინდაზედ", ქართული შემომქმედი სულის ამ უდიდეს ძეგლში, მან განსაცვიფრებელის პოეტიურის სიძლიერით „ადგილნი ვერანანი და უდაბურნი" გარდააქცია წინააღმდეგობით და მისტიურ შინაგან ბრძოლით ტანჯულის სულის გამომხატველ სარკეთ: აქ ის ავიდა იმ სიმაღლეზე, რომელსადმი ლანდშაფტის მხატვრობაში მეცხრამეტე საუკუნეში მხოლოდ „paysage intme"-ის შემქნელმა ფრანგებმა და გერმანელმა ბიოკლინმა მიაღწია. ამ უკანასკნელ მხატვრის „მიცვალებულთა კუნძულივით" (ლეიპციგის მუზეუმი), ნ. ბარათაშვილის ბუნება მწუხრი და სევდიანია, აღსავსე რაღაც გამოუთქმელ მისტიურ იდუმალობით; მდუმარე და ღრმად ჩაფიქრებული, იგი ნელის უძრავის ცვაგით არის დაფარული; ის მინაზებული და წარმტაცია, მაგრამ ფიქრნი ამაოდ სცდილობენ მასთან შეერთებას, ვერ აღწევენ მისდამი და ჰაერშივე იბნევიან; ის გლახ მომაკვდავს ავიწყებინებს საწუთროებას, ამა სოფლის ამაოებას და ათასჯერ უფრო უპედურს ჰხდის იმას, ვინც ვერ პოულობს „სადგურს, ზენაართ სამყოფს" ან არა სცნობს „განგებას ციურს". ადამიანის სულსავით იგი სავსეა უცნაურ მოულოდნელ წინააღმდეგობით და შფოთიანის მღელვარებით.

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო.
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება,
გულ-დახურულთა მეგობარო, მთაო ღრუბლიანო!

გერონტი ქიქოძე.

(შემდეგი იქნება)

# სპარსეთის ამბები

**რევოლიუციონერები შაჰს ემუქრიან.**

„ბაქუ“-ს ატყობინებენ თეირანიდან: „კაზვინელ რევოლიუციონერებსა და ბახტიარებს შორის ტელეგრაფით მოლაპარაკება იყო გამართული. მათ გადასწყვიტეს, შაჰის დაპირებას ნუ ვენდობით, თეირანზე გავილაშქროთ, შაჰი და მთელი მისი დინასტია ტახტიდან ჩამოვაგდოთო.

„ზაკავკაზიეს“ ატყობინებენ ბაქოდან: თეირანში 29 აპრილს გაიხსნა სახემწიფო საბჭოს კრება. თეირანელები აღელვებულ გუნებაზე არიან. თხოულობენ, რომ ახალ მეჯლისში წინანდელ, გარეკილ მეჯლისის წევრებსაც ჰქონდეთ დეპუტატის უფლებაო. ამას გარდა, რევოლიუციონერები თხოულობენ მილიციის დაარსებას რევოლიუციონერებისაგან. ბახტიარები განაგრძობენ თეირანზე გალაშქრებას. 29 აპრილს რევოლიუციონერებმა, რომლებიც ისევ ზესტში სხედან, გამოსცეს პროკლამაცია, რომელშიაც შაჰის ტახტიდან ჩამოგდებასა და სიკვდილით დასჯას თხოულობენ. თეირანსა და ბალეშაჰში ძლიერ შეშინებულნი არიან. თეირანში საყოველთაო აჯანყებას მოელიან.“

**საუბარი ლიახოვთან.**

პოლკოვნიკ ლიახოვს უთქვამს ინგლისურ გაზ. „ტაიმს“-ის კორესპონდენტისთვის:

მდგომარეობა თეირანში მეტად სერიოზულია. რომ რევოლიუციონერები ჩუმად შემოვიდნენ თეირანში და ყუმბარებით დაანგრიონ ქალაქი, მაშინ მე იძულებული ვიქნები მთელ ჩემს ხელქვეით ჯარს თეირანის ევროპიელ ნაწილში მოუყარო თავი, ხოლო ქალაქის დანარჩენი ნაწილი მეამბოხეებს დავანებოო.

**რუსეთი და ინგლისი დაეხმარებიან შაჰსა.**

„რუს. სლოვო“-ს პეტერბურგელ კორესპონდენტს შეუტყვია მეტად მცოდნე კაცისაგან, რომ თუ რევოლიუციონერები იერიშს მიიტანენ თეირანზე, რუსეთის და ინგლისის მთავრობა აქტიურ დახმარებას გაუწევენ შაჰსა, რადგან ორივე სახელმწიფომ მოვალეობად იკისრეს, შაჰის პირადი უშიშროება და ტახტი უზრუნველჰყონ იმ პირობით, რომ შაჰმა კონსტიტუცია გამოაცხადოსო.

**ხალხს არ მოსწონს ახალი კონსტიტუცია.**

სპარსეთის ყველა კუთხეში პროტესტსა და უკმაყოფილებას აცხადებენ შაჰის მიერ გამოცხადებულ კონსტიტუციის წინააღმდეგ. ამბობენ, ახალ კონსტიტუციაში შეტანილია ისეთი მუხლები, რომლების ძალით შაჰს შეუძლიან ისევ წაართვას ხალხს კონსტიტუცია.

**საარჩევნო კანონი.**

კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს საარჩევნო კანონის შედგენა, უკვე შეიმუშავა რამდენიმე მუხლი.

საარჩევნო უფლება აქვს ყველას, ვისაც-კი უძრავი ქონება აქვს როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში. სამეფო გვარეულობის წევრთ უფლება არა აქვთ დეპუტატად არჩეულ იქმნენ.

**რუსის ჯარისკაცის მოკვლა თავრიზში**

რუსეთის საკონსულოს დარაჯი ჯარისკაცი მოჰკლეს თავრიზში. ჰფიქრობენ, რომ ეს რეაქციონერების საქმე იქნება, რადგან მათ უნდათ რუსის ჯარი გადაჰკიდონ რევოლიუციონერებს. თავრიზის ენჯუმენმა და სათარ-ხანმა სასტიკი ღონისძიება მიიღეს მკვლელის აღმოსაჩენად. (ზ.“)

**რუსის ვიცე-კონსულის თხოვნა.**

რუსეთის ვიცე-კონსულმა ქალ. არდაბილში სთხოვა სპარსეთის მთავრობას, დაუყოვნებლივ ღონის-ძიება მიიღეთ, რომ ასტარა-არდაბილის გზა-ტკეცილი გაიხსნასო, რადგან რუსის ქვეშევრდომებს დიდი ზარალი მოსდის მით, რომ ამ გზაზე მოძრაობა შეწყვეტილია, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსის ჯარი მოვა აქ და ის გახსნის გზასაო.

**რევოლიუციონერების დავლა.**

კაზვინის აღების დროს რევოლიუციონერებმა ხელში ჩაიგდეს 4 ზარბაზანი, 5000 მსწრაფლ-მსროლელი თოფი და მილიონი პატრონი.

**სეპეხდარი.**

რეშტის გუბერნატორი და იქაურ რევოლიუციონერების მეთაური სეპეხდარი ნამდვილად განათლებული კაცია; იგი დიდ-ხანს ცხოვრობდა ევროპაში. ამასთანავე იგი დიდი შეძლების პატრონია და ბევრსა შველის რევოლიუციონერებს. ამას წინად მან 50 ათასი თუმანი შესწირა რევოლიუციონურ საქმისთვის.

**პანოვი.**

როგორც ვიცით, პანოვი ცოცხალი აღმოჩნდა, იგი მოსკოვში დაატუსაღეს. ამბობენ, პანოვი მოსკოვში მისულა იარაღის საყიდლად სპარსელ რევოლიუციონერებისათვის. მას სამი ჭრილობის კვალი ეტყობა. ჯიბეში 107 მან. ფული უპოვეს. პანოვს, როგორც ბოლგარიის ქვეშევრდომს, საზღვარ-გარედ გაისტუმრებენ.

# მოწერილი ამბები

**ჩელიაბინსკი.** არა ერთხელ გამოცვნია მკითხველ საზოგადოებისთვის ჩელიაბინსკში გადასახლებულთა აუტანელი მდგომარეობა. რაც დრო გადის, უფრო მეტი გაჭირვება და შევიწროება ატყდებათ თავს ისედაც დაბეჩავებულ და უმწეოდ მყოფ გადასახლებულთ. არავითარი სამუშაო, არავითარი დახმარება მთავრობისგან, სასტიკის დევნის მეტი...

საკვირველია სწორედ აქაურ მოხელეთა მოქმედება. ყველა სხვა გუბერნიაში, სადაც კი სცხოვრობენ გადასახლებულნი, ეძლევათ თვიური სახარჯო ფული 7 მან. 15 მანეთამდე და ზრუნვე ტანისამოსის 24 მანეთიდან 40 მანეთამდე წლიწადში ორჯერ. აქ კი თვეში წინად 2 მან. 10 კაპ. იძლეოდნენ და ახლა, რაც ახალი ისპრავნიკი (მაზრის უფროსი) დაინიშნა, შეამცირეს 1 მან. 80 კაპ., ე. ი. დღეში 6 კაპეიკი. ამ ფულით გადასახლებულმა უნდა ისაზრდოოს და სახლის ქირაც გადაიხადოს. მაგრამ ამასაც არ იძლევიან როგორც.

ძველ ისპრავნიკის ბატონობის დროსაც გროშს არ იღებდა გადასახლებული. ივნისიდან მოვიდა ახალი ისპრავნიკი, რომელიც დაგვპირდა, რომ მიიღებთ 1 მან. და 80 კაპეიკსაო. ასეც მოიქცა. პირველ ხანად ვინც კი მივიდოდა, ყველა იღებდა ამ უმნიშვნელო, მაგრამ გადასახლებულთათვის დიდად მნიშვნელოვან თანხას, მაგრამ აი გადნა თოვლი, გამოშრა, გაშრა სოფლის გზები და მოჰყვა ამ ჩვენდა საუბედუროდ მოსულ გაზაფხულის თბილ დღეებს ათას-გვარი დევნა-დატუსაღება და სოფლად ფეხით გზავნა 150 და ხან 280 ვერსის მანძილზე. ვიდრე ჩივის საკვებ ფულს, ყველა იმის ცდაშია, როგორმე მიიმალოს და არ ეჩვენოს პოლიციის მოხელეთ. და აი აქ იწყება არა ლეგალური ცხოვრება გადასახლებულთა.

გუშინ-კი თავისას მოითხოვს, ხოლო იმ ელემენტმა, რომლის მოქმედებამაც სამშობლოში თავი შეაზიზღა ყველას ათას-გვარ პროვოკაციულ რამეებით აქაც წამოიწია ქუდი. თავიანთ ამხანაგების სახელზე მოსულ ფულს ათასგვარ ოინებით იღებენ ფოსტის განყოფილებიდან და ჰფლანგავენ არაყსა და სამიკიტნო სახლებში. აგრეთვე აგროვებენ ადგილობრივ მკვიდრთა შორის ფულს პოლიტიკურ გადმოსახლებულთა სახელით და ითვისებენ.

ასევე მოხდა სააღდგომო დღესასწაულებში. რამდენიმე თავზედ ხელ-აღებულმა ქართველმა, რომელთაც არავითარი საერთო არ აქვთ პოლიტიკურ გადმოსახლებულთა წრესთან, ქართველ პოლიტიკურ გადმოსახლებულთა სახელით მოაგროვეს ფული და აღდგომა დღეს გაშალეს „ძმური სუფრა“, სადაც უხვად მოიპოვებოდა კონიაკი, არაყი, პასკა, შეღებილი კვერცხები და, ვინ იცის, კიდევ რა... გათენდა აღდგომა, შესძახეს „ქრისტე აღსდგა“ და შეექცნენ. შემდეგ ჩასხდნენ ეტლებში და მთელი ქალაქის ქუჩები მოჰფინეს ყვირილით და სიმღერებით.

ამ დროს რას აკეთებდნენ დანარჩენი გადმოსახლებულნი, რომელთა მეოხებითაც იძლეოდნენ კუჭს ეს ნაძირალა ელემენტები? მშივრები ისხდნენ.

გადმოსახლებული ნიკო ვადაჭკორია აგერ სამი თვეა ლესავს საავადმყოფოს ლოგინს და ვერ ეშველა მორჩენა. ექიმებმა აღმოაჩინეს ფილტვების ჭლექი და საჭიროებს კერძო ექიმობას, ვინაიდან საავადმყოფოს ჰაერი უფრო აწვალებს ავადმყოფობას. მივმართავ ყველა რედაქციას, რომელნიც კი იცნობენ ნიკოს, აგრეთვე იმის ამხანაგ ასოთ-ამწყობებს და საზოგადოებას, აღმოუჩინოს დახმარება რაც შეიძლება საჩქაროდ, თორემ გვიანღა იქნება.

ადრესი: Въ Челябинскъ, Редакція газ. „Пріуралье“ для Николая Вадачкорія.

**პლიონი.**

# რუსეთი

**რეპრესიები „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წინააღმდეგ.** „რეჩის“ სიტყვით, მთავრობას გადაუწყვეტია რეპრესიები იხმაროს—„ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წინააღმდეგ. ამასთან გადაწყვეტილია, რომ თუ დუბროვინი არ გამოცხადდა ფინლიანდიის სასამართლოში, მთავრობამ უნდა დახმარება გაუწიოს ფინლიანდიის სასამართლოს.

**პეტერბურგის უნივერსიტეტი.** პეტერბურგის უნივერსიტეტიდან სწავლის ფულის შეუტანლობის გამო დაუთხოვნიათ 1200 სტუდენტი.

**სერბიისა და ბოლგარიის მეფეები.** „კიევსკ. მისლ.“-ს გაუგია, რომ ამ მოკლე ხანში პეტერბურგში ჩამოვლენ სერბიისა და ბოლგარიის მეფეები. მიზეზი—პოლტავის დღესასწაულებია.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, ხარკოვში 1, ორიოლში 1, უფაში 2, ეკატერინოსლავში 2, ვარშავაში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: პეტერბურგში 2, ხარბინში 1, ვლადივოსტოკში 1, კამენეც-პოდოლსკში 2, ოდესაში 2, ვარშავაში 1.

**გერცენშტეინის მოკვლის საქმე.** „ნოვაია რუსი“ იტყობინება, რომ გადაწყვეტილია დააპატიმრონ «რევოლიუციასთან აქტიურ მებრძოლთა კავშირის“ თავმჯდომარე დეზობრიი. დეზობრიის ბრალდება გერცენშტეინის მკვლელების დამალვა. დეზობრიი სადღაც გაქცეულა.

**პოლიციის სამინისტრო.** „რეჩის“ სიტყვით, უმაღლეს წრეებში ხელ-ახლად წამოუყენებიათ პოლიციის სამინისტროს საკითხი. ეს საკითხი ამ რამდენიმე თვის წინათაც წამოაყენეს. საკითხი თითქმის გადაწყვეტილი იყო, პოლიციის მინისტრად შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს კურლოვსაც კი ასახელებდნენ, მაგრამ ამ საკითხის განხორციელებას მემარჯვენეები აღუდგნენ წინ. მემარჯვენეების აზრით პოლიციის მინისტრი იმდენად ძლიერი იქნება, რომ მას ყოველ წუთში შეუძლიან სახელმწიფოს აწ არსებული წეს-წყობილება შესცვალოსო. ამბობენ, რომ მემარჯვენეები დამარცხდებიან და პოლიციის სამინისტროს შემოიღებენო. მინისტრად ისევ კურლოვს ასახელებენ.

**მადლობის გადახდა.** როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის ამ რამდენიმე ხნის წინეთ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა საღათელიანმა ოსმალეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს აწ მედ-რიზას ოსმალეთის პარლამენტის გახსნა და ახალგაზრდა ოსმალთა გამარჯვება მიულოცა. აჰმედ-რიზას საღათელიანისთვის დეპეშით მადლობა გადაუხდია.

**ტოლმაჩევის წერილი.** გაზეთ „როსიაში“ დაბეჭდილია ოდესის გენერალ-გუბერნატორის ტოლმაჩევის წერილი. ტოლმაჩევი სწერს, რომ გაზეთი „რეჩის“ რედაქტორი სამართალში მივეცით. ამასთან ტოლმაჩევი ლანძღავს „ებრაელ მჯღაბნელებს და ყველა ერების განმათავისუფლებლებს“.

**პურიშკევიჩი.** სახელმწიფო სათათბიროს „დეპუტატ“ პურიშკევიჩს დეპუტატ ზაზაროვის სიტყვით სტენოგრაფიულ ანგარიშზე შემდეგი დაუწერია „აქ ხელმწიფე-იმპერატორის მეურაცყოფაა. ავღნიშნავ ამას, რომ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვმა არ შეასწოროს“. რუსეთის გაზეთების სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ძალიან აღელვებულნი არიან თურმე პურიშკევიჩის ასეთი საქციელით.

**დეპუტატი კოლიუბაკინი.** როგორც დეპეშებიდან ვიცით სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი კოლიუბაკინი სათათბიროდან დაითხოვეს. „რეჩის“ სიტყვით დეპუტატ კოლიუბაკინს აუარებელი დეპეშები მოსდის. დეპეშებში კოლიუბაკინს თანაგრძნობას უცხადებენ.

# განცხადებანი


**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, სამარჯე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლვამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარქოვისა. (წლ.—ნ.—50)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირებს გარდა
დ ი ლ ი თ:
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**უ. ე. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—78)

# იყიდება
ერთ სართულიანი სახლი 10 ოთახით, 100 ოთხ-კუთხ საჟენ მიწაზე მოთავსებული. სახლი პირველ საპოლიციო 6 წილშია, ვარდისუბნის ქუჩაზე, № 26. ფასი იკითხეთ სახლის პატრონთან. (1—237—1)

გაფრთ ხილებული
დ. ზ. სარაჯიშვილის
კ ა ნ ტ ო რ ა ტ ფ ი ლ ი ს შ ი.
ЗАВОДСКАЯ МАРКА
ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ ბ-ნნი მომხმარებელნი.
ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**
ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი“,** და საქარხნო მარკას **„ჯიხვი კლდეზე“.** (20—234—2)

# საგარეჯოს-თხინვალის ადგილების მყიდველის საყურადღებოდ
ამ წლის 27 აპრილს გაუთავდა ვადა ბ-ნთ მაჭავარიანსა და გელოვანს, რომელნიც ჰყიდნენ ამ ადგილებს. ახლა მამულის პატრონნი ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ამ ადგილების მყიდველთ უნდა მიმართონ ჩვენ რწმუნებულს დავით წულუკიძეს (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურობის ქარვასლა, № 153).
**გიორგი ხიმშიაშვილი.**
**ოპეკუნი მ. დიასამიძე.**
(3—233—3)

**დაიბეჭდა და დარიგდა საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში**
# ახალი არსენას ლექსი.
ეს გამოცემა შევსებულია მრავალის ახალი ცნობით. დაწვრილებით არის აწერილი არსენას თავგადასავალი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ.
წიგნი დასურათებულია 12 სურათით, გარეთ კანი კი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ოთხი ფერით. წიგნი 32 გვ. და ღირს ორ შაურად. გამყიდველებს %/% მორიგებით. ადრესი ტფილისი, სტ. „სორაპანი“. (10—6.—7)

# გაფრთხილება
Н. И. БОЗАРДЖІАНЦА ТАБАЧНАЯ ФАБРИКА ВЪ ТИФЛИСѢ 1858
რადგან დღემდე ჩვენი ეტიკეტების მსგავს ყალბ ეტიკეტებს ამზადებენ თავიანთ დაბალ საქონლის გასავრცელებლად. კოლოფებზე ხმარობენ იმავე ფერსა და მარკას და ამით აბათილებენ ჩვენ მაღალ **ხარისხოვან პაპიროსებს:**
„სიმპატიას“ 10 ცალი 5 კაპ. № 8 10 ცალი 5 კაპ.
აგრეთვე ჩვენი ფირმის სხვა პაპიროსებს, ამიტომ ვთხოვთ ჩვენ მუშტარს, ყურადღება მიაქციოს **საქარხნო მარკას და გვარს**
Н. И. Бозарджянцъ съ С-ми.
(10—ნახე—10)

# 1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილად 1 მანეთიდან
# ხელის მაშინები 5 მანეთიდან
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ
THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK
**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**
ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (15—გაგ.—9)

ამიერ-კავკასიის საქარხნო
ს ა წ ყ ო ბ ი
1897 წ. 1908 წ. 1888
ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА
ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т-ВА Р.-Ф. ПРОВОДНИКЪ РИГА
# ამ-ზის პროვოდნიკისა
ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, № 4.
# საამშენებლო შენობისთვის ჰყიდის პროვოდნიკ-ლინოლეუმს
საუკეთესო დასაგებია იატაკებისთვის
**ლინოლეუმი მაგიეროგასა სწევს:** პარკეტისას, იატაკის შეღებვისას, მოზაიკისას, ხალიჩებისას, ფარდაგებისას, კლიონკისას და სხ.
**ლინოლეუმი სჯობია** იატაკის ყოველ გვარ დასაგებს იმით, რომ ინახავს იატაკს სინესტისა და სიცივისაგან, წყალს არ უშვებს, არ ხეხავს, არა ფუჭდება მჟავე სითხისაგან, ხმაურობას არ უშვებს, ადვილად იწმინდება და ყოველთვის ლამაზია.
**ლინოლეუმს,** როგორც იაფ დასაგებს, სიმკვიდრით, მოხერხებულობით და სილამაზით პირველი ადგილი უჭირავს იატაკის დღემდე არსებულ დასაგებებში, **რასაც მოწმობენ საჩუქრები და ძების ფურცლები, მიღებული ამხანაგობის მიერ როგორც რუსეთის, ისე საზღვარ-გარეთის გამოფენებზე.**
ხარჯთ-აღრიცხვა და უზორები **ლინოლეუმისა** იგზავნება პირველ მოთხოვნილებისათანავე. (8)


სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.